

ქრისტიანული სარწმუნოება და მეცნიერება

ქრისტიანულ სამყაროში მეცნიერული ცოდნა ვითარდებოდა ეკლესიის წიაღში, სადაც შეგირდებს ღვთისმეტყველებასთან ერთად ასწავლიდნენ იმდროინდელი ცოდნის შესაბამის საბუნებისმეტყველო დარგებს. ცნობილია, რომ ბევრი ფუნდამენტური აღმოჩენა, სწორედ, ღვთისმსახურებს ეკუთვნის. მაგალითისთვის საკმარისია გავიხსენოთ ნიკოლა კოპერნიკი-ჰელიოცენტრული სისტემის ავტორი და გრეგორ მენდელი-გენეტიკის ფუძემდებელი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევების ძალზე სწრაფი პროგრესის შედეგად მეცნიერების გავლენა გასცდა ტექნიკის და ტექნოლოგიების განვითარების ფარგლებს და მეცნიერება გადაიქცა უმთავრეს სოციალურ-ჰუმანიტარულ ინსტიტუტად, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა და ახდენს საზოგადოების და კულტურის ყველა სფეროზე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევები კი უმთავრესად ადამიანის მატერიალური კომფორტულობის ზრდაში გამოიხატა, რამაც დაინტერესებული და პოლიტიკური წრეების მეოხებით, რომელთა ხელში იყო (და არის) უმძლავრესი მედია საშუალებები, გავლენა მოახდინა ფართო საზოგადოების აზრზე და, სამწუხაროდ, დაამკვიდრა შეხედულება, რომ მეცნიერებას ყველაფერი ძალუძს ჭეშმარიტების და ბედნიერების მისაღწევად, ამიტომ “ღმერთის არსებობის შესახებ ჰიპოტეზა საჭირო აღარ არის.” წარმოიშვა პარადოქსული სიტუაცია, რადგან ამავე დროს თითქმის ყველა გამოჩენილი მეცნიერი კოპერნიკი, გალილეი, ნიუტონი, პასკალი, მენდელი, დარვინი, პასტერი, ტომპსონი, მენდელეევი, ეინშტეინი, პავლოვი, პლანკი და სხვა, ვინც კი უდიდესი წვლილი შეიტანა მეცნიერების განვითარებაში, ღრმად მორწმუნე ადამიანები იყვნენ! სიცოცხლის თავისთავად ე.ი. ატომების ურთიერთქმედების ევოლუციით წარმოქმნას დარვინი სისულელედ მიიჩნევდა: „დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის ახსნა მხოლოდ შემთხვევითობის ძალით იგივეა, რაც მტკიცება თითქოს ლექსიკონი ტიპოგრაფიაში მომხდარი აფეთქების ძალას შეექმნას“. მაგრამ მის დებულებას რომ ძლიერი ორგანიზმი რჩება ცოცხალი, ხოლო სუსტი ნადგურდება, ევოლუციონისტები თავის მიზნებისთვის იყენებენ. მაგალითად, ინდოეთის ინგისელი გუბერნატორი 3 მილიონი აჯანყებული ინდოელის სიკვდილით დასჯას ბუნებრივად მიიჩნევდა, რადგან ინგლისელები უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ. ახლაც, რამდენიმე წლის წინ ინგლისურ ენაზე გამოიცა წიგნი: „თანამედროვე მეცნიერთა რელიგიური არსი“. წიგნის ავტორები არიან ნობელის პრემიის ლაურეატები. მათ დაუგზავნეს 133 ყველაზე გამოჩენილ მეცნიერს კითხვა: „ეწინააღმდეგება თუ არა ქრისტიანული რელიგია მეცნიერებას და იცნობენ თუ არა ისეთ მეცნიერებს, რომლებიც ამ წინააღმდეგობას გრძნობენ?“. 116-მა უპასუხა, რომ “არ ეწინააღმდეგება და ასეთ მეცნიერებს ჩვენ არ ვიცნობთ.” 17-მა

საერთოდ პასუხი არ გასცა. მაგრამ განსაზღვრული წრეების ზეგავლენით მასმედია განაგრძნობს რელიგიასა და მეცნიერებას შორის უფსკრულის გაღრმავებას. ეს იმიტომ ხდება, რომ მორწმუნე ადამიანის მორალი კარდინალურად განსხვავდება ურწმუნოს მორალისაგან და ამ უკანასკნელის მართვა გაცილებით ადვილია, რადგან რწმენა ღმერთის არსებობისა არის საყრდენი და წესი ზნეობრიობისათვის. **“ეჭვგარეშეა, რომ ადამიანის მთელი ზნეობრიობა დამოკიდებულია იმ საკითხის გადაწყვეტაზე - უკვდავია თუ არა სული”.** (ბლევ პასკალი). ებრაელი სწავლული იოსებ კლაუზინერი წერდა: “ყველა მიიჩნევს იმას, რომ ქრისტე ქადაგებდა ყველაზე სუფთა და ამაღლებულ მორალს...რომელიც ჩრდილში აქცევს ძველი დროის ყველაზე დიდ ბრძენთა მორალურ პრინციპებს და მაკსიმებს“. ქრისტეს ქადაგება მთაზე მიჩნეულია კაცობრიობის უმაღლესი მორალის სწავლებად, რომელიც ოდესმე წარმოუთქვამს ადამიანს. დღევანდელი ერთერთი უმთავრესი ცნება “თანასწორი უფლებები“ ქრისტეს სწავლების შედეგია. არაქრისტიანი ისტორიკოსი ბილ დიურანტი წერდა ქრისტეს შესახებ, რომ “იგი ცხოვრობდა და იბრძოდა დაუღალავად “თანასწორი უფლებებისათვის.“ ხოლო მისი გამოთქმა “ვისაც სურს პირველი იყოს, ყველაზე უკანასკნელი იქნება და ყველას მსახური“ (მარკ. 9. 35) - არის მთელი პოლიტიკური სიბრძნის და საღი აზრის შემობრუნება. ამერიკის შეერთებული შტატების ერთერთმა მამა-დამაარსებელმა თომას ჯეფერსონმა დამოუკიდებლობის დეკლარაციაში შეიტანა ქრისტესეული აზრი “თანასწორი უფლებების“ შესახებ. მასში ნაქვამია: „ჩვენ გამოვდივართ იმ თავად ცხადი ჭეშმარიტებიდან, რომ ყველა ადამიანი შექმნილია როგორც თანასწორი და მათ მინიჭებული აქვთ შემომქმედის მიერ განსაზღვრული უდავო უფლებები.“ აქედან გამომდინარე ამკარაა, რომ ქრისტიანული რწმენისა და მეცნიერების ურთიერთმიმართებას აქვს არა მარტო შემეცნებითი და ფილოსოფიური ასპექტი – შინაარსი, არამედ უზარმაზარი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში. ამიტომ დღევანდელ მოხსენებაში მე ვეცდები დავასაბუთო, რომ ქრისტიანულ რწმენასა და მეცნიერების ურთიერთმიმართებას არა აქვს არავითარი წინააღმდეგობა და როგორც ჩვენი პატრიარქი ბრძანებს “**ეკლესიას უნდა ქონდეს მჭიდრო კავშირი მეცნიერებთან და ის სასიცოცხლო და, შეიძლება ითქვას, საბედისწერო საკითხები, რომელიც აღელვებს მსოფლიოს ეკლესიის ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს.**” (პატრიარქ ილია II-ის საშობაო ეპისტოლე, 2003 წელი). ამას ვეცდები მივალწიო იმიტომ, რომ ვაჩვენო მეცნიერების მოდელურობა, განვითარებადობა და არასრულყოფილება, რის გამოც იგი შორს არის ჭეშმარიტებისაგან, ამიტომ არ ძალუძს შეაფასოს ბიბლიაში მოცემული ცოდნის ჭეშმარიტება მაგრამ ნელნელა უახლოვდება მას. აქვე მინდა განვაცხადო, ჩემს მიერ მეცნიერების არსის კრიტიკული განხილვა სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მინდა დავაკნინო მეცნიერების სასიცოცხლო მნიშვნელობა კაცობრიობის

განვითარებაში. სრულებითაც არა! პირიქით. მიმაჩნია, რომ მეცნიერება ღვთის მეტყველებასთან ერთად გასაზღვრავს ამ პროცესს! დღეისათვის მეცნიერებამ მიაღწია უდიდეს შედეგებს! საილუსტრაციოდ მარტო მობილური ტელეფონი კმარა! მომავალში კი ფანტანსტიკური შედეგები იკვეთება!

ჭეშმარიტების შესახებ თანამედროვე ფილოსოფიურ ლექსიკონში ვკითხულობთ: **“ჭეშმარიტება** - ადამიანის ცოდნის შესაბამისობა სინამდვილესთან, ადამიანის აზრის და ობიექტის თანხვედრა. ...ჭეშმარიტება განსაზღვრავს თანხვედრის ზღვარს ადამიანის ცოდნასა და სინამდვილეს შორის. ჭეშმარიტების ფარდობითობა არის მისი ბუნებრივი თვისება და იძლევა მხოლოდ შემოსაზღვრულ ცოდნას ობიექტის შესახებ. ამავე დროს იგი მიუთითებს ადამიანის შესაძლებლობების შემოსაზღვრულობაზე და მათ ცვლილებებზე.” (თანამედროვე ფილოსოფიური ლექსიკონი, 1998წ.) აქვე შევნიშნავ, რომ ღვთისმეტყველებმა ეს ყველაფერი გაცილებით ადრე იცოდნენ: „ამა სოფლის სიბრძნის მემკვიდრით ჩვენ ვერ ჩავწვდებით იმას, რაც ჩვენზე აღმატებულია, განა ცხადი არაა, როგორი სასარგებლოა სწავლების მიღება სულიწმიდისაგან ასეთი სწავლება ყველაზე მარტივი და ნათელია“... (წმ. იოანე ოქროპირი). „რწმენა არის ის, რასაც ადამიანი მტკიცებულების გარეშე ღებულობს ინტუიციით და ის უფრო ადვილი და მარტივია, ვიდრე რთული პროცესების ლოგიკით გააზრება.“ (აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი). ამრიგად „ეკლესია და ქრისტიანული დოქტრინა მიიჩნევენ, რომ ადამიანის და მისი გარემომცველი გარემოს სრული გაგება მხოლოდ ადამიანური გონებითა და ლოგიკით შეუძლებელია. მათ გარდა აუცილებელია ინტუიცია და ზემთაგონება, რომელიც საჩუქრად მოდის უფლისაგან და მხოლოდ რწმენას განეკუთვნება.“ (აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი). აქვე მინდა ავღნიშნო, რომ მეცნიერული ჭეშმარიტების ტერმინი, თავისი ფარდობითობის გამო არ გამოგვადგება ამ მოხსენებაში და ჩვენ ჭეშმარიტების ქვეშ ვიგულისხმებთ სინამდვილეს, რომელიც მეცნიერების განვითარების დონეზე არ არის დამოკიდებული. ჩვენი გაგებით სინამდვილე არის ყველაფერი, რაც არსებობს (ღმერთმა შექმნა) მატერიალური და არამატერიალური (უკვე დადგენილი და დასადგენი) მათ შორის არსებული ყველა კავშირის, ურთიერთქმედების და განსაზღვრული ცვლილებების ჩათვლით. სინამდვილე ერთმანეთთან დაკავშირებული ყველაფერია. ეს ყველაფერი ერთიანი სხეულია და ერთი ნაწილის ცვლილება სხვადასხვა ზომით და სახით მოქმედებს ყველა დანარჩენზე.

ახლა მოდით განვიხილოთ რამდენად ზუსტად და ადექვატურად ახერხებს მეცნიერება სინამდვილის აღწერას და გარკვევას მის ბუნებაში. ჩვენ, ფიზიკის პროფესორები, როცა ვუტარებთ სტუდენტებს პირველ პრაქტიკულ მეცადინეობას ვასწავლით, რომ აბსოლუტური სიზუსტით რაიმეს გაზომვა

პრინციპულად შეუძლებელია და რომ გაზომვა შესაძლებელია მხოლოდ რაღაც ცდომილებით, რომელიც მოცემული ამოცანისათვის მისაღებია. **“მეცნიერების არსებობისთვის სრულიად აუცილებელია, რომ ერთიდაიგივე პირობებში ერთიდაიგივე შედეგი უნდა იყოს მიღებული. სინამდვილეში კი ეს ასე არ ხდება!”**(რიჩარდ ფეიმანი, ნობელის პრემიის ლაურეატი) . ეს იმას არ ნიშნავს, რომ ექსპერიმენტების შედეგები მცდარია, არამედ იმას, რომ იგი სამართლიანია განსაზღვრულ ფარგლებში. მაშასადამე მეცნიერების სიზუსტე ფარდობითია და რაიმეს ზუსტად განსაზღვრა ან განმარტება პრინციპულად შეუძლებელია!

ახლა მეცნიერებასა და სინამდვილის ადექვატურობის შესახებ. მეცნიერული ცოდნის ჭეშმარიტების შესახებ აზრს ამყარებს საკმაოდ ფართოდ გავრცელებული შეხედულება, რომ იგი ცდებით და ლოგიკით არის მოპოვებული, ხოლო ღვთიური ცოდნა დაფუძნებულია დოგმებზე (დოგმა-მტკიცების გარეშე მიღებული დებულება). ეს აზრი, რბილად რომ ვთქვათ, არა კორექტულია, რადგან მეცნიერული ახსნები, თეორიები და ჰიპოთეზები ემყარება შეთანხმებით მიღებულ ბაზისურ დებულებებს, ფაქტიურად, დოგმებს, მაგრამ მეცნიერები მათ პარადიგმებს, აქსიომებს, პრინციპებს, პოსტულატებს და წესებს უწოდებენ! ფიზიკა, რომელიც ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაზისია და ასევე დიდ გავლენას ახდენს ცოდნის სხვა დარგებზეც, იყენებს ბაზისურ ცნებებს, რომლებიც ცალსახად განმარტებული არ არის. მაგალითად დრო. **„დრო გამოსახავს ერთმანეთის შენაცვლებადი პროცესების თანმიმდევრობას“**.(ზოგადი ფიზიკის კურსი). ძალზე ბუნდოვანი განმარტებაა. დროის ბუნება ჯერ-ჯერობით დადგენილი არ არის! ჩვენ ყველამ კარგად ვიცით ინტიუტურად-გრძნობით რა არის დრო, მაგრამ მისი ლოგიკური განმარტება არ ვიცით. ეინშტეინი ამბობდა, რომ მან კარგად იცის რა არის დრო, მაგრამ როცა ეკითხებიან რა არის დრო, ახსნა არ შეუძლია! ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი დროის განმარტება არ არის ლოგიკური განმარტება, ის მხოლოდ მითითებაა. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მოაზროვნე ცდილობდა გარკვეულიყო დროის ბუნებაში. მოვიყვანო ზოგიერთ მათ მოსაზრებას. სტივენ ჰოკინგის (თანამედროვეობის ერთერთი ყველაზე ავტორიტეტული ფიზიკოსი) აზრით, **„რადგან რეალური დროის აღმოჩენა (განსაზღვრა) არავის შეუძლია, ამიტომ ყველასათვის, ვინც დედამიწაზე ცხოვრობს, დრო წარმოსახვითია“**. **“კითხვები დროის წარმოშობის შესახებ, როგორც ჩანს, სამუდამოდ დარჩება ჩვენთან.”** (ილია პრიგოჟინი, ნობელის პრემიის ლაურეატი). **„ის, რასთანაც ჩვენ საქმე გვაქვს დაკვირვებისას, არ არის საკუთრივ ბუნება, არამედ არის ბუნება, რომელიც მისაწვდომია კითხვების დასმის ჩვენი მეთოდისათვის.“** (ვერნერ ჰაიზენბერგი, ნობელის პრემიის ლაურეატი). მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ყოველგვარი ცოდნა დამყარებულია რწმენაზე: ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი არის, ათეისტებს სწამთ საწინააღმდეგო, დღეს

მეცნიერების უდიდეს უმრავლესობას სწამს, რომ ნივთიერება შესდგება ატომებისაგან, მაგრამ სულ რაღაც 150 წლის წინათ მათ საწინააღმდეგო სწამდათ! ცოტა მოგვიანებით, იყო დაახლოებით 20 წლიანი პერიოდი, როცა მათი რაოდენობები გათანაბრდა, მაშინ როცა ერთი დიდი მეცნიერი ლუდვიგ ბოლცმანი ატომისტურ თეორიაზე ლექციას კითხულობდა ერთ აუდიტორიაში, იგივე უნივერსიტეტის სხვა აუდიტორიაში მეორე დიდი მეცნიერი ფრიდრიხ ოსტვალდი ატომების არსებობას უარყოფდა! დღეს მეცნიერთა ნაწილს სწამს აინშტაინის ფარდობითობის თეორიის და რომ სინათლის სიჩქარეზე სწრაფად ბუნებაში ვერაფერი ვერ იმოდრავებს, მაგრამ არის მეცნიერთა დიდი ნაწილი, მათ შორის მეც, რომლებსაც ამის არ სწამთ. ადამიანთა ნაწილს სწამს დიდი აფეთქების ჰიპოტეზა, მეორეს, მათ შორის გამოჩენილ მეცნიერებს არ სწამს იგი და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცდებით მხოლოდ ბუნებრივი მოვლენებია დადგენილი, იმ დროისათვის შესაძლებელი სიზუსტით, ე.ი. ექსპერიმენტული ფაქტები და არა მათი შინაარსობრივი ახსნა, რომელიც დროთა ვითარებაში შეიძლება ბევრჯერ შეიცვალოს! „ესა თუ ის თეორია ან ჰიპოთეზა შეიძლება ხვალ საერთოდ მიუღებელი აღმოჩნდეს, ან უკეთესით შეიცვალოს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ადამიანის გონება და მისი შესაძლებლობები შეზღუდულია და სრულყოფისაგან დაშორებული, მაშინ როდესაც ჭეშმარიტი ქრისტიანული სწავლება ისეთივეა, როგორც I საუკუნეში” (პატრიარქი ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე, 2005 წელი). მეცნიერული აზრის ფარდობითობას და ცვალობადობას ადასტურებს თანამედროვეობის უდიდესი ფიზიკოსი ათეისტი სტივენ ჰოკინგი: „მეცნიერების პროგრესი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ არასწორი თეორია შეიცვალოს სწორით, არამედ ერთი არასწორი თეორიის შეცვლაში მეორე არასწორით, ოღონდ დაზუსტებულით”. ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. შეგახსენებთ ყველასათვის ცნობილ ფაქტს. სიტყვა „ატომი“ განუყოფელს ნიშნავს ბერძნულად, რადგან მეოთხე საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვამდე ბერძნებს ასე სწამდათ და მხოლოდ 24 საუკუნის შემდეგ რეზერფორდმა ექსპერიმენტალურად დაამტკიცა, რომ ის ნაწილებისაგან შესდგება, რომელთა დაცილება შესაძლებელია. ამის შემდეგ ატომის მოდელი კიდევ ბევრჯერ შეიცვალა. კიდევ სულ ახალი მაგალითი. მოლეკულურ-კინეტიკური თეორიის წარმოდგენების გამოყენებით მოხდა თანამედროვე ტექნოლოგიების უდიდესი ნაწილის დამუშავება, რომელთა შორის აღსანიშნავია სამეურნეო, სამხედრო, კოსმოსური მანქანა-დანადგარები და გამოთვლითი ტექნიკა. მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, შემდგომი კვლევების შედეგად აღმოჩნდა, ატომების გადაადგილებასთან დაკავშირებული, ახალი ცდისეული ფაქტები, რომელსაც მოლეკულურ-კინეტიკური თეორია ვერ ხსნის. იმიტომ ახლა ხდება მისი შეცვლა მოლეკულურ-პოტენციური თეორიით, რომლის მიხედვით მყარ სხეულებში (მეტალები, ნახევარგამტარები, დიელექტრიკები) ტემპერატურის მომატებით ატომების გადაადგილების გაადვილება ხდება არა

მათი მოძრაობის ენერჯის გაზრდის შედეგად, არამედ ატომებს შორის არსებული ქიმიური ბმების შესუსტების გამო. ამ უკანასკნელის განხორციელება, ტემპერატურის გარდა, შეიძლება სინათლით, წნევით და სხვადასხვა ველებით. აქედან გამოდის ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ **ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც ჩვეულებრივად მაღალ ტემპერატურებზე ტარდება შეიძლება განხორციელდეს დაბალ ტემპერატურებზე, რაც ენერგოდანახარჯების დიდ მოგებას იძლევა!** მეცნიერული მიღწევების ზრდასთან ერთად მოდაში შემოვიდა გამოთქმა „მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტი“ რაც გულისხმობს იმას, რომ ეს არის აბსოლუტური ჭეშმარიტება, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს აზრი ან მოვლენა არ ეწინააღმდეგება იმ მეცნიერულ წარმოდგენებს, რომელიც ამ დროს აქვს მეცნიერებას და რომელიც დროთა ვითარებაში აუცილებლად შეიცვლება. თუ მეცნიერება არასრულყოფილი და განვითარებადია, ისმება სრულიად ბუნებრივი კითხვა, როგორ მიაღწია მეცნიერებამ ასეთ ფანტასტიკურ შედეგებს (მაგალითისათვის მობილური ტელეფონიც გვეყოფა)? ახლა ვეცადოთ ავხსნათ, თანამედროვე ცოდნის დონეზე, როგორ აღწევს წარმატებებს მეცნიერება, მიუხედავად მისი არასრულყოფილებისა და სინამდვილიდან დაცილებულობისა. საქმე იმაშია, რომ ადამიანი თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე აღმოაჩენს სინამდვილის რაღაც ნაწილს და თავისი შეზღუდული გონებით იკვლევს მას და ცდილობს ახსნას იგი, მოახდინოს განზოგადოება, შექმნას თეორია მისი უფრო ფართო გამოყენებისათვის თავის სასარგებლოდ: გადასარჩენად ან მატერილური ან/და ფსიქოლოგიური კომფორტის გასაუმჯობესოებლად. ამ დროს ეს ახსნა-თეორია, მეცნიერების განვითარების მოცემულ დონეზე, მიიჩნევა სწორად, თუ იგი ხსნის მოცემული მოვლენის ამ დროისათვის დაგროვილ ყველა ექსპერიმენტულ ფაქტს და წინასწარმეტყველებს რაიმეს, რაც ხელს შეუწყობს მეცნიერების ან ტექნოლოგიების განვითარებას. მაგრამ მომავალში, როგორც წესი, ის აღმოჩნდება არა სრულყოფილი, შეიძლება მცდარიც, მაგრამ თავის დროზე მაინც იძლეოდა დასკვნებს, რომელიც ადამიანისათვის სასარგებლო იყო. ამის თვალნათლივ წარმოსადგენად გავიხსენოთ საუზმის სცენა ჩარლი ჩაპლინის ფილმიდან. ჩარლი მუშაობს მშენებარე სახლის მაღალ სართულზე, სადაც მოუსწრებს მოკლე შესვენება. ჩარლის საგზალი თან აქვს და აპირებს საუზმობას სამუშაო ადგილზე. გაშლის საგზალს სამუშაო მასალის გროვაზე, აიღებს საკვებს, მიმოიხედავს ირგვლივ, დაინახავს კიდესთან რაღაცას ყუთის მაგვარს და მასზე ჩამოჯდება. ცოტა ხანში წამოდგება, გაშლილი საგზალიდან რაღაცის ასაღებად. ამავე მომენტში ის, რაზეც იგი იჯდა, სწრაფად დაეშვება ქვევით. ჩარლი აიღებს რაღაცას, მოუბრუნებლად, დგამს უკან ნაბიჯს და ჯდება, ამ მომენტისათვის ამოსულ, ყუთზე. ეს მეორდება რამოდენიმეჯერ. მაყურებელი, რომელიც მიხვდა, რომ ყუთი მასალების ამოსატანი ავტომატურად მოქმედი ლიფტია, დამაბულია! ჩარლი კი

ამას ვერ ხვდება და არხეინად განაგობს ადგომა-დაჯდომას, რადგან მოძრავი ლიფტი ჩვეულებრივ ყუთად მიაჩნია! ჩარლის მსგავსად მეცნიერსაც შეიძლება სწამდეს არასწორი წარმოდგენისა, რომელსაც გარკვეული დროით თავისთვის სასარგებლოდ იყენებს! ცოტა ხანში მას შეუძლია აღმოაჩინოს, რომ ყუთს აქვს ლიფტის თვისებები და გამოიყენოს იგი არამარტო დასაჯდომად, არამედ სხვა დანიშნულებითაც. მეცნიერების განვითარების მთელი ისტორია არის არასრული ან არასწორი მეცნიერული ცოდნის ადამიანის მიერ თავის სასარგებლოდ გამოყენების მატიანე(აღწერა)! მაგრამ არასწორი თეორიის საფუძველზე შექმნილი ხელსაწყო - დანადგარები და ტექნოლოგიები რჩება და მას მოაქვს სარგებლობა კაცობრიობისათვის!(ტომოგრაფი, კომპიუტერი, მობილური, ლაზერი, თანამგზავრი, თვითმფრინავი, ელმავალი და სხვა.) ყველაფერი ზემოთ თქმულიდან აშკარაა, რომ მიუხედავად უდიდესი მიღწევებისა, მეცნიერება, თავისი მოდელურობისა და განვითარების პროცესში ყოფნის გამო, ჯერ შორს არის იმ სინამდვილისაგან, რაც ღმერთმა შექმნა და ამიტომ მას არ ძალუძს ჯერ-ჯერობით უარყოს ან შეაფასოს ბიბლიაში მოცემული სიბრძნე. სწორედ ამით არის გამოწვეული ის, რომ ეკლესია არ ჩქარობს დაეთანხმოს მეცნიერების მიერ წამოყენებულ ჰიპოთეზებს სამყაროს წარმოქმნის და მისი განვითარების შესახებ. დღეს ბევრ ქვეყანაში ცდოილობენ შექმნან „მეცნიერული რელიგია“, მაგრამ ეს მცდელობა, რბილად რომ ვთქვათ, მოკლებულია აზრს, რადგან თვითონ მეცნიერება არის მოდელური, განვითარებადი და ამიტომ არასრულყოფილი, ხოლო რელიგია ეყრდნობა მარადიულ პარადიგმებს. რელიგიას საქმე აქვს ისეთ მოვლენებთან, რომელიც ყოველდღიურ ჩვენ ცხოვრებაში არ გვხვდება, მაგალითად, უბიწო ჩასახვა, მკვდრეთით აღდგომა, კეთროვანთა სიტყვით განკურნება, ერთი პურით უამრავი ხალხის დაკურნება, წყალზე გავლა და სხვ. რომელთა ექსპერიმენტალური შემოწმება და ახსნა დღევანდელი არსებული ცოდნით ჯერჯერობით არ შეიძლება, ამიტომ რჩება ორგვარი ცოდნით გამოწვეული დისკომფორტი და კითხვები. ყველა მოაზროვნე ადამიანს უჩნდება კითხვა, როგორ შეიძლება, რომ ღმერთმა ყველას მოუსმინოს ერთდროულად, იმის მიუხედავად დედამიწის რა ადგილას იმყოფება ადამიანი, როცა, „ოფიციალური“ მეცნიერების მტკიცებით, ინფორმაცია ვერ გავრცელდება სინათლის სიჩქარეზე სწრაფად? რომ ღმერთი იყოს ყველაში ერთდროულად? როგორ შეიძლება ლოცვამ იმოქმედოს ადამიანზე ე.ი. არამატერიალურმა მატერიალურზე? როგორ მოახდინა ქრისტემ ახალ აღთქმაში აღწერილი სასწაულები? არსებობს თუ არა სული და ანგელოზები? ჭეშმარიტი მორწმუნე იტყვის: ადამიანის შეზღუდული გონება ამას ბოლომდე ვერ ახსნის. ვეთანხმები, მაგრამ ღვთის მიერ მომადლებული გონების გამო ადამიანს ყოველთვის აქვს მოთხოვნილება იმისა, რომ, თავის აზროვნების დონეზე, მიახლოებით მაინც დაინახოს ყველაფრის ამის პრინციპული შესაძლებლობა, რათა მოიხსნას ორგვარი ცოდნის არსებობით

გამოწვეული დისკომფორტი და უფრო გააღრმავოს უფლისადმი თავისი რწმენა! **“უბრალო რწმენა ადამიანს ჰყოფს მონად, ხოლო რწმენა გააზრებული-მეგობრად ღვთისა.”** (კლიმენტი ალექსანდრიელი). მეცნიერებით მიღებულ ცოდნა იზრდება და ვითარდება, ე.ი. იგი თანდათან უახლოვდება სინამდვილეს. ამიტომ მეცნიერებაში ან მის ანალიზში უნდა ჩანდეს რაღაც ისეთი მონაცემები ან ტენდენციები, რომლებიც მიანიშნებენ იმაზე, რომ ბიბლიური ცოდნის მიახლოებით აღწერა შესაძლებელია მეცნიერული ცოდნის საშუალებითაც! ქვემოთ ჩვენ შევეცდებით მოვიყვანოთ საბუნებისმეტყველო მეცნიერების ისეთი ახლი ექსპერიმენტული ფაქტები, რომელთა ანალიზის განზოგადოება მიგვანიშნებს ბიბლიური და ღვთისმეტყველური ამბების, ეპიზოდების და მოვლენების რეალურად არსებობის შესაძლებლობაზე, რომლებიც მხოლოდ რწმენით გვაქვს აღიარებული. აქვე გვინდა ხაზგასმით ავღინიშნოთ, რომ ქვემოთ მოყვანილი მსჯელობა არავითარ შემთხვევაში არ იქნება ბიბლიური და ღვთისმეტყველური ცოდნის სიმართლის მეცნიერული მტკიცება, რადგან კარგად გვესმის, რომ ადამიანის გონების და მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე ეს შეუძლებელია! ვითვალისწინებთ რა იმას, რომ ადამიანი დასკვნების გამოტანისათვის აზროვნების პროცესში ხშირად იყენებს ანალოგიების მეთოდს, ჩვენ მხოლოდ ვეცდებით ვაჩვენოთ, რომ თუ ადამიანს სჯერა მეცნიერებით დადგენილი რაიმე ფაქტის ან მოვლენის არსებობა, რატომ არ უნდა იწამოს მისი მსგავსი, ფაქტის ან მოვლენის რეალურად არსებობა, რომელიც ბიბლიურ და ღვთისმეტყველურ ცოდნაშია მოყვანილი. დავიწყოთ ინფორმაციის გადაცემის და დამუშავების სიჩქარით. ოფიციალური მეცნიერების მტკიცებით სინათლის სიჩქარეზე დიდი სიჩქარე არ არსებობს, მაგრამ ასტრონომ კოზირევის ჯგუფმა აღმოაჩინა ინფორმაციის გადაცემის თითქმის მყისიერი გავრცელების სიჩქარე. ერთდროულად დიდი ინფორმაციის დამუშავება შეუძლია ზოგიერთ ადამიანს, (გავიხსენოთ ადამიანები, რომლებიც მრავალნიშნა რიცხვებზე ზეპირად და სწრაფად ატარებენ რთულ მათემატიკურ ოპერაციებს, ან ისინი, რომლებიც ზუსტად გამოთვლიან კვირის რომელი დღე იყო წარსულის ან მომავლის ნებისმიერ რიცხვში! მაშინ რატომ არ შეიძლება ადამიანმა იწამოს ის, რომ ღმერთმა შეიძლება ერთდროულად მიიღოს ინფორმაცია ყველა ადამიანისაგან და ყველაფერი დანარჩენისაგან, რაც მან შექმნა, დაამუშაოს იგი და იმავდროულად იმოქმედოს. დღევანდელ ფიზიკაში აღიარებულია ოთხი ურთიერთქმედება. მაგრამ ახალი ურთიერთქმედება აღმოაჩინა ცდებით ვლადიმერ ბობროვის მკვლევართა ჯგუფმა. ისინი რომელიღაც მცენარის თესლს ანათებდნენ სინათლით, შემდეგ აკვირდებოდნენ მის გაღვივებას და ზრდას. არმოჩნდა, რომ ეს თესლი უფრო სწრაფად ღვივდებოდა და იზრდებოდა, ვიდრე იგივე მცენარის სინათლით გაუნათებელი თესლი. შემდეგ თესლი მოათავსეს სინათლის გაუმტარ ჭურჭელში და გაანათეს ჭურჭელი, ე.ი. სინათლე-ელექტრომაგნიტური

გამოსხივება თესლამდე ვერ აღწევდა. საკვირველი იყო ის, რომ თესლი ისევე სწრაფად გაღვივდა, როგორც განათებული! მამასადამე სინათლის წყაროდან გამოსხივდებოდა რაღაც უცნობი და უხილავი, რაც მოქმედებდა თესლზე! ე.ი. მატერიალური მოქმედებდა ცოცხალზე! კორნელის უნივერსტეტში იკვლევენ საპირისპირო ზემოქმედებას: ადამიანის აზრობრივი მოთხოვნით კომპიუტერი შეცდომებს უშვებს. სხვა ცდებში ელექტრონების ნაკადს, რომელიც ყოველთვის სწორხაზოვნად ვრცელდება, აზრის ზემოქმედებით ტრაექტორიას უმრუდებენ! პეტრე გარაივის მიერ აღმოჩენილმა სულ ახალმა კვანტურმა გენეტიკამ აჩვენა, რომ გენები გამოსცემენ და აღიქვამენ აკუსტიკურ ტალებს, ასხივებენ და შთანთქავენ ლაზერულ გამოსხივებას. ყველაზე საკვირველი ის არის, რომ თუ ერთი ორგანიზმის გენებს დავაზიანებთ ან დაზიანებულს გამოვაკეთებთ, შემდეგ ჩავიწერთ მათ გამოსხივებას და მას მივმართავთ შორ მანძილზე იგივე ტიპის ორგანიზმებზე მათ გენებში მოხდება იგივე ცვლილებები! ამის დამამტკიცებელი ერთ-ერთი ცდა ასეთია: ვირთაგვები, რომლებსაც ამოკვეთეს კუჭისქვედა ჯირკვლები ორ ჯგუფად გაყვეს, ერთი ჯგუფის ვირთაგვებზე იმოქმედეს ჯამრთელი ცხოველების გამოსხივებით მეორეზე არა, რომელიც ცოტა ხანში, როგორც მოსალოდნელი იყო, მთლიანდ განადგურდა. პირველი ჯგუფის ვირთაგვები გამოჯამრთელდნენ, რადგან მათ ორგანიზმებში მოხდა კუჭისქვედა ჯირკვლების რეგენერაცია(აღდგენა)! ამ აღმოჩენას გარდა ფანტასტიკური დადებითი შესაძლებლობისა აქვს შემზარავი უარყოფითი მხარე. იგი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას არასასურველი ხალხების გენოციდისათვის! კვანტურმა გენეტიკამ ასევე ცდებით აჩვენა, რომ ორგანიზმზე მაგინებელი სიტყვებით ან უარყოფითი აზრებით ზემოქმედების შედეგად გენები დეგრადირდებიან, ხოლო მოფერებითი სიტყვებით ან დადებითი აზრების ზემოქმედებით უმჯობესდებიან! აი რა დიდი მნიშვნელობა აქვს ლოცვას! ამის დამამტკიცებელი ცდები ტარდება კრასნოიარსკის სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრში. დაადგინეს, რომ ლოცვის შედეგად უმჯობესდება სისხლის შემადგენლობა: იზრდება მისი ენერგოტევადობა, მაღლდება უჯრედული იმუნიტეტი. პარალელურად იცვლებოდა დნმ-ის სტრუქტურა. პაციენტები უფრო მალე ინკურნებიან. ანლოგიურ კვლევები სხვა ცენტრებშიც ტარდება. ღმერთის ურწმუნო ადამიანს არც სულის არსებობისა სჯერა, მისთვის მიუღებელია ადამიანში რაღაც უკვდავის და მუდმივის არსებობა. ქართულში სიტყვა „სული“ თავისი ფუძით „სულ“ ზედმიწევნით სრულად გადმოსცემს მის არსს, რომ იგი სულყოველთვის, მუდმივად არსებობს! მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი მტკიცებულება ადამიანებისა, რომლებმაც განიცადეს კლინიკური სიკვდილი, რომ ისინი თავის სხეულს და ექიმებს ზემოდან ხედავდნენ, ურწმუნონი ამას მიაწერენ ადამიანის ტვინის რაღაც აღზნებულ მდგომარეობას, რომელიც გალუცინაციებს იწვევს. მაგრამ არსებობს ერთი ფაქტი, რომელიც, ჩვენი

აზრით, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს სულის არსებობაზე. როცა კოსმონავტებს ავარჯიშებენ დიდი აჩქარებების გაძღვებაზე, მათ ათავსებენ სავარძელში, რომელიც წრეზე მოძრაობს აჩქარებულად ე.ი. სიჩქარე თანდათან იზრდება და რაღაც დიდი სიჩქარის მიღწევასას კოსმონავტები თავის თავს ხედავენ უკნიდან! ე.ი. რაღაც, მსუბუქი ან საერთოდ წონის არმქონე, ადამიანის სხეულში, რაც ხედავს, ჩამორჩება მატერიალურ სხეულს, ისე როგორც ხელსახოცი ფრიალებს ადამიანის დიდი სიჩქარით მოძრაობისას, და ხედავს თავის მატერიალურ სხეულს უკნიდან ანუ კეფას. გამოჩენილი ინგლისელი ფიზიოლოგი, ადამიანის ტვინის მკვლევარი, ათეისტი პენფილდი დარწმუნებულია: **“ტვინი მხოლოდ კომპიუტერია, მაგრამ აპროგრამებს მას რაღაც სხვა”**. ეს სხვა, ჩვენი აზრით, არის სული. და თუ სული არსებობს, რაშიც ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, ნათელია ცხოვრების მიზანიც. ეს არის სულის განვითარება და სრულყოფა! მეცნიერებით მიღებულ ცოდნა იზრდება და ვითარდება, რაც ნიშნავს იმას, რომ მეცნიერება თანდათან უახლოვდება სინამდვილეს. ეს ცოდნა შორეულ მომავალში (ალბად ძალზე დიდი დროის შემდეგ) ერთმანეთს შეავსებს და ზოგადი სახით მოცემული ბიბლიური ცოდნა დაკონკრეტებული იქნება მეცნიერულით. ამ საკითხს სჭირდება ერთობლივი სპეციალური კვლევა ორივე დარგის მაღალკვალიფიცირებული წარმომადგენლების მონაწილეობით. დღეს კი აუცილებელია, რომ მეცნიერები პატივივისცემით და დიდი ყურადღებით ეპყრობოდნენ ბიბლიურ ცოდნას! რადგან **„პირველი ყლუპი ბუნებისმცოდნეობის ფიალიდან ათეიზმს ბადებს, მაგრამ სასმისის ფსკერზე ჩვენ გვიცდის ღმერთი!“** (ვერნერ ჰაიზენბერგი, ნობელის პრემიის ლაურეატი). მართალია ათეისტი არ ვყოფილვარ, მაგრამ „პირველი ყლუპი“ ძალზედ გამიგრძელდა, სანამ მოძღვარს არ მივმართე კითხვით, იმის შესახებ, რომ დანაშაულს ხომ არ ჩავდიოდი ღმერთის წინაშე, როცა ახალ მეცნიერულ ეფექტებს აღმოვაჩინდი, რადგან ამ დროს მეუღლე და ქალიშვილი მძიმედ გამიხდა ავად. მოძღვარმა ამიხსნა, რომ მე აღმოვაჩინე ის, რაც ღმერთის მიერ იყო შექმნილი და რომ ეს ღმერთის დიდი წყალობაა ჩემზე. ამ საუბარმა და ფიქრმა მიმიყვანა „სასმისის ფსკერამდე“ და იმ აზრამდე, რის გადმოცემასაც მე ამ მოხსენებაში ვცდილობ. მეცნიერთა მაღალ სულიერებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა კაცობრიობისათვის, რადგან ყველა დიდ მეცნიერულ და ტექნოლოგიურ მიღწევას აქვს ასევე დიდი უარყოფითი მხარე. მაგალითად, თუ ნანიტექნოლოგიების საშუალებით შესაძლებელია ისეთი მცირე ზომის კომპიუტერის შექმნა, რომ მას შეეძლება ადამიანის სისხლძარღვებში თავისუფლად იმოძრაოს და ექიმებს გადმოსცეს ინფორმაცია ყველა ორგანოს მდგომარეობის შესახებ, რაც ადამიანის სიცოცხლის ხანგძლივობას დიდად გაზრდის, მაგრამ კომპიუტერი შეიძლება ისე დაპროგრამდეს, რომ მივიდეს ტვინის იმ არესთან, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანის ქცევაზე და გარე ბრძანებით აიძულოს იგი ჩაიდინოს რაიმე საშინელება! ე.ი. მოხდეს ადამიანის

ზომბირება. ამას წინ შეიძლება აღუდგეს მხოლოდ მეცნიერთა მაღალი სულიერება. დღევანდელი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კაცობრიობის უსწრაფესი განვითარებისათვის საჭიროა შემდეგი პერსპექტიული ტექნოლოგიების შერწყმა: ნანო, ბიო და ინფორმაციული ტექნოლოგიების, სოციალური მოთხივნილებების გათვალისწინებით. ამ აზრს ისინი შემდეგი აბრივიატურით აღნიშნავენ NBI+S. მაგრამ ჩვენი ცენტრის ღმა რწმენით S-ში უპიველესად უნდა იგუისხმობოდეს სულიერება (spirit), რომლის გარეშე კაცობრიობის გადარჩენა წარმოუდგენელია! ამიტომ „მეცნიერებაცა და რელიგიაც საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას” (პატრიარქი ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე, 2000 წ.) და ჩვენც ვცდილობთ ამ დიდ მისიას ვემსახუროთ!